

გვერდები

პირველი
თველი № 37

მ

ა

თ

რ

ა


ს

ი

1917

სოლომონ ბრძენი

(ზიბლიდან)



სოლომონ ბრძენი. რა კი ვერ გაგვორკვევია ვისი შვილია ვც ნორჩი თავი-
სუფლება, გაპერით შვაზე. დაე ორივე მხარეს ზედეს კუთვნილი თავისი.

ბურჟუაზია. (ჯალათს) გასკერით, გასკერით, თუ ჩემი არ იქნება ნურც
სხვას ერგება.

დემოკრატია. ნუ გასკერით, ნუ, ნუ! დაე ისევ იმან წაიყვანოს, ოღონდ
ცოცხალი კი დარჩეს.




ს ტ უ მ რ ო ბ ა .

ქუთაისის სტუმრობა
 არ გვეგონათ ხუმრობა,
 ერთი უბედურობა
 არის აქ უპურობა;
 მეორეა უწყობა—
 რიონის ბინძურობა
 მესამე-კი ფანრების
 ბეუტვა, უნათურობა!..
 ქუჩებს ნულა იკითხავთ
 მათი უსუფთაობა,
 ყველამ უწყის, მოწმეა
 ძველი, ახალ-თაობა;
 ვაი, სტუმრისა ბრალი
 და მისი ბედ-შაობა,
 თორემ აღდგომობრე მკვიდრთ
 უყვართ აქ ბუქნაობა!..
 არაოდეს არ მახსოვს
 სადმე გზაში დაობა,
 ყველგან სხვა ქალაქებში
 მქონდა გამბედაობა;
 მაგრამ აქ—ქუთაისში
 ჩემი მოგზაურობა,
 იყო სწორეთ ხიფათი
 დიდა უხერხულობა!..
 გაველ თუ არ სადგურზე—
 დაპკრა ზეცამ დგეშია,
 (ვაი იყოს თქვენს მტერზე)
 მე ჩავვარდი დღეშია;
 აბა, ეხლა ვიყვარდეს
 გავლა ამ წუმბეშია,
 არც ეტლი არც ურემი
 არაფრის ნუგეშია!..
 უკუნეთი მეფობდა ქალაქის
 ბნელ ქუჩებში,
 (ენა სულმთლათ ვამიშრა
 მოკუმულსა ტურებში);
 ვიდექ უხმოდ სადგურთან—
 ვიყავ მწარე ფიქრებში,
 (ალარც კანქარი მქონდა
 ბლომით შარგლის ჯიბეში)!..
 — „რა ვქნა, გავყვე ბინისკენ,
 თუ აქ დავრჩე დილიმდი? —
 უცებ წამოვიძახე, თანაც
 ძალზე ვვმინავდი;

საშველი არსა იყო, **სტუმრობა**
 ისევ „მუშა“ მთარახი
 დავედრიჯე საცოდვრად
 გაუზიარე დარდი!..
 იმან, იმ დალოცვილმა
 სამი მანეთი მოხოვა,
 თანაც მატულობს წვიმა—
 ჩემ ეინზე ჩამოთოვა!
 რა მექნა?—გავხსენ ქისა
 შევამოწმე ფულები,
 ჩემი იყო თუ სხვისა
 მქონდა შენახულები.
 დავეთანხმე უფაქროთ
 მივეც ბარგი-ბარხანა,
 მიუთითე გზისკენ —
 მე უკან გავყვე თანა.
 მივდივართ და... ჰაობთა
 ისმის ტყლაშა ტყლუშენი,
 „მუშა“ მეტათ ჯავრობდა—
 ცას გაჰქონდა გრუხუნი.
 — „ასეთ ცოდვილს ჯობია
 რომ არ იყოს კაციო,
 როგორ უნდა ვიცხოვროთ
 სიძვირეში აწიო“?!
 წარმოსთქვა თანამგზავრმა
 მომამტერა თვალები,
 მე ჩქარ-ჩქარა ვავარბოდი
 წვიმით დანასველები.
 როგორც იყო, მიველი
 ჩემს ბინაზე შევიდობით,
 ბარგის წამლებ მთრეველი
 გავისტუმრე რიდიობით;
 და, როს მივწექ საწოლზე
 ისე ღრმათ ჩამეძინა,
 რომ ჩემს რათულსა კითხვებზე
 ფიქრი შემაწყვეტინა!..

ეხლა ამით ვათავებთ
 სტუმრობაზე საუბარს,
 სხვა წამს ბევრს მოგახსენებთ
 ქუთათურთა „ოთურმას“;
 დღე, თქვენც გაეცანით
 ამ ქალაქის წინე-უნარს,
 მკვიდრთა „დიად საქმეთა“ —
 საქებსა და საწუნარს.

ალ ბურკონი.



ღია ბარათი

შუაზიდან.

კაცო-ეშმაკო! ამდენს ეშმაკობ
და საეშმაკო კიდევ გაქვს რამე?
რაც შენ შხამს ანთხევ აესულთა თავზე,
ნუ თუ სიცოცხლე ვერ ჩააშხამე?
ათი წელია თავზე ველგები
მა კავასიას, მთელი დღე-ღამე.
სულ აქ მორბიან ცოდვიანები,
მაქეთ მხარეში თუ იყენენ სამე.
ბევრ რამეს შეგძენს მოგზაურობა,
აქეთ წამოდი, ღმერთი იწამე...
ღიანთე ცეცხლი ჯოჯოხეთისა.
აამე ღმერთს და შენც ისიამე.

საკვირველია თუ შენ არ გაცვდი,
როგორ ვერ გაცვდა მათრახის კული?
ან რას დავეძებ? თუ წამოხვიდ
წამოიყვანე მსახულთა გუნდი.
ეს კი იცოდე აქეთ სიტყვა,
დიღხანს ვერ გაძღებ თუ არ გაბრუნდი.
ვერც კი აუხვალ იმდენი არის
აქეთ საცემი და გასაგული.
მაგრამ რაეცი... სხვა დარდი არ მაქვს
ეშმაკობაში თუ არ ვახუნდი..

აქეთ სასჯელათ არც კი ითვლებ
მათრახი, ჯოხი და მისთანები.
პირველ გაკვეთილს შეგასწავლიან
ჩვენი ემირის დიდი ხანები.
სამსჯაგროში ბლომათ აწყვიცა
მარწუხი, თოკი, გრემლი დანები.
უბრალო, ქათმის ქურდის თავებით
მოკენქილია მათი ყანები.
გული დავეწვის რომ დავინახავ,
ჯოჯოხეთისკენ გაექანები.
შუა გზამდევს კი შემოგლევა
სიტყვები გულის მოსაფხანები
მაგრამ რაუყო, ბედს დავმდურე.
არ შემიშინდე, გეთყავინები
შემთხვევა იყოს მარტო ნუ წახვალ,
ბევრია იქით წასაყვანები.

სახელი შენი დარჩება ქვეყანას,
წმინდან-წამებულს დავმგვანები.

რაც იყოს, იყოს! გაბედე ერთი.
გამოიჩინე შენი გმირობა.
სახარჯათ ბევრი არ დაგჭირდება
აქეთ არ არის მაგრე ძვირობა.
მიწა ბევრია. ამასთანავე
ძალიან იცის ფულის ხშირობა.
თუმცა ამ საქმეს თანა სდევს კვალში
გაუტანლობა და ორპირობა.

სასიარულოთ საადილოთა
და სანავარდო რამდენიც გინდა,
ტრიაშელია განუზომელი,
თუ მალე მუხლი არ შეგიშინდა.
ექვს თვეში აღარ გავადარდება,
თუ ერთხელ ზეცამ გადაიწმინდა.
ყოველ შვა დღეზე აქ დაიძინებ
და გაიღვიძებ თუ დაიბანდა.

აქ თბილისივით ხრამი როდია,
მოსატებელი კაცის-კისერის.
გინდა იხტუნე რამდენიცა გსურს,
იმღერე, თუ კი ნიკო გაქვს მღერის.
აქ ვის არ ნახავ და სადაურსა?
რომელ ტომის, რომელი ერის?
სხვა და სხვა ენით მოსაუბრენი,
სხვა და სხვა სახის, სხვა და სხვა ფერის.
კი საძნელო საქმე კი არის
მოყვარისაგან გარჩევა მტერის
გული უაფარავს მათ საიდუმლოს
და სახეს კიდევ ლაქები მტვერის.

მე ქართველთათვის მოგიწევს აქეთ.
სხვა ყველმს თვისი ეშმაკები ყავს.
ლონ ზე უფრო ხერხი იხმარე
და ერთბაშათ მათ ნუ შეაკლავ თავს.
წითელი ფერი ბატონობს ახლა
და შენთვის აღარ ჩაიცვამენ შავს.
ყველა ჯიუტათ შეგებრძოლებს,
თავის შეგპირსა მუშტათ დაიცავს.

აქ არ აღელვებთ არცა წარსული,
არც ამა ქვეყნის გადამბრუნება.



დროთა ცვლილებამ ვეღარ შესცვალა
 მუდამ დახული მათი გუნება.
 საყოველ დღეა გულის სიღარჩეს
 თან ერთვის სულის დეძაბუნება.
 იცოდ რომა ბევრგან შეგებუნება
 ცარიელს თავზე დაკაკუნება.
 იქნებ როგორმე ღვთის ჩაგონებით
 შესძლო იმათი გამობრუნება.
 მწელი კი არის, მათ ვერ უშველის
 მათარახის მარტო ხშირი ცხუნება.

ამ ახალს დროში ახალ სასჯელათ
 თუ გაქვს ახალი გამოგონება.
 მითარახზე უფრო გრძელი, მოქნილი,
 თვალსა და გულს, რომ მოეწონება
 ერთის მოქნევით დამოზარჩილოს
 ჯერ მოუქნელი კაცის გონება.
 სხეული დაწვას კუბრის ნათელში.
 სულს ჯოჯოხეთის მისცეს ცხონება,
 და თუ, ეშმაკო, ღმერთმა მოგმადლო
 ამ იშვიათი რამის ქონება,
 მიღლათ გეტყვევა აქეთ წამოსვლა
 და ცოდვით კიდევ მანდ დაყოვნება.

აქეთკენ დიდსა თუ პატარასა
 სისამაგლეში დიდი აქეთ წილი.
 სიცუდეს სჩადის თავმოწონებით
 შესახებდავთ კარგი ყმაწვილი.
 ურცხვმა არ იცის, თუ რომ არსებობს
 სამაგიერო სადმე სირცხვილი.
 მის თავის პირად ქებათ მიანჩის
 ზურგს უკან სხემის ყალბი სიცილი.
 შოლტი... მათარახი კი დაგვირდება
 თითოსთვის მგონი ოროლი წყვილი,
 და არც სისხთი დაიწუნება
 ღვთის მადლით თუ კი იქნება მსხვილი.
 დისაფიქრელი არაფერია,
 მათ ზურგის კანი არა აქეთ ჩვილი.
 ახლა მივხედებ, თუ დიჯერებ,
 თუ ხარ ნამდილი სატანის შვილი,
 კაცთა სასჯელათ ჯოჯოხეთიდან
 სამარადისოთ გამოგზავნილი.
 გათხოვ დიდებულათ დაავიგვინო
 საქმე უბრალოთ გამოწყობილი.
 ახსახადელი.

რედაქციისაგან

ღრმით პატივცემულ ამხანაგ ეშმაკის წყალ-
 ტუპოში ყოფნის დროს აღმოვაჩინეთ კვამუგების
 დიდი კონტრეფოლუციონური შთაქმულობა. კლიშეებს
 მიზნათ ქონდით დისციპლინის სრული გაუქმება და
 ეურნალის გვერდებზე თავისუფლათ ნავარდი. მი-
 ლებული ენერგიული ზომების წყალობით შეთქმუ-
 ლობა თავშივე იქნა შეწყვეტილი. სამწუხაროთ,
 ორმა კლიშემ მიანიც თავისი გაიტანა. ერთი მათგანი
 მე-11 გვერდიდან მე-16ზე გადახტა, მეორე-კი
 მე-16 დან მე-11ზე. ამის თვითონაც მიხვდებოდა
 წინა ნომრის დაკვირებულათ წამკითხავი.
 სრული იმედი გვაქვს, რომ ამხ. ეშმაკის თფი-
 ლისში დაბრუნების შემდეგ რედაქციონალური
 დისციპლინა აღდგენილ იქნება და ასეთ გამოვლას
 კლიშეებისს აღვლი აღარ ექნება.

გლეხნი და მღვდელი

გლეხს ოჯახში გადამდები ავთამყოფობა გა-
 უჩნდა და რამოდენიმე კვირის განმავლობაში ცო-
 ლი და რვა ქალ-ვაჟი ერთი მეორეზე დაუბოცა.
 დიდს გაპირვებით დასაწლავა გლეხმა ამდენი მი-
 ცვალებული და ისედაც ღარიბი და ხელმოკლე
 საგრძნობლად დავალიანდა. ძალზე შეწუხებულმა
 გლეხმა მგვალეებს ჩამოუარა და ვალის გადახდაში
 შესაძლებელი შეღავათი სთხოვა. ყველა შეპირდა
 შეღავათს, ყველა შევიდა მის გაპირვებაში და ზო-
 გიერთმა სრულიდაც პატივა ნასესხები. ბოლოს
 გლეხი მღვდელთან მივიდა და ამასაც სთხოვა ვა-
 ლის გადახდის შემსუბუქება. მღვდელმა უპასუხა—
 მამა და შვილო, განა მე ჩემთვის გახდვიენებ ფუ-
 ლს? შენი ნებაა, შვილო, ყველაფერი. შეგიძლია
 არაფერი არ მომცე, მაგრამ შენსავე მიცვალებუ-
 ლებს აენებს, დახოცი თ ხომ დაგებოცა ყველა, მ-
 ლა თუ მათ საწირავ-სალოცავი არ გაუტევი ყველა-
 ნი წაწყდებიან და ჯოჯოხეთში ჩაგიცვივდებიანო.
 გლეხი წავიდა, ნახევარზე მეტი თავისი მიწა-
 წყალი მეზობელ ვაჟარს მიჰყიდა და აღებული ფუ-
 ლი მღვდელ-ღიაკონს მისცა საწირავ-სალოცავთ.

თვითონაც, როცა სხვების ვალიც გადაიხადა ისევ მღვდელს დაუდგა მოჯამაგირეთ და მღვდელისავე დარჩევით მხურვალე ლოცვის მიჰყო ხელი, რომ ამ გვარად მიცვალებულებს წირვა-ლოცვა უფრო წასდგომოდა. გავიდა რამოდენიმე წელიწადი, გლებმა ყველა ვალები გაისტუმრა, მაგრამ დაკარგული კოლშვილის მწუხარება ვერას გზით ვერ მოიქარვა. ერთ საღამოს გლებმა თავისი სულის მღვამარება მღვდელს შესჩვილა და დახმარება სთხოვა.

— ყველაფერი ჩვენი ცოდვების ბრალია, შვილო, — აუხსნა მღვდელმა, — განაგრძე მუშაობა და ღმერთიც შეგიწყალებს — შეძლებას მოგცემს, მწუხარება გადიტანოვო.

როდესაც გლებს მღვდელთან ოცდაათი თუმანი შეუტროვდა მისაღები ჯამაგირი, იფიქრა: მოდი ისევ საკუთარ სახლკარს გავიჩენ, ვგებ ახალმა ცხოვრებამ თავი შემაქცივინოსო. მღვდელმა უთხრა:

— ამოათა ამოებაა, შვილო, ყველაფერი ამ ქვეყანაზე. მაგთ თავს ვერ უშველი, შენ აღბათ დიდი ცოდვილი ყოფილხარ, ღმერთმა რომ ასე სასტიკათ დავსაჯა, ქვეყნიერ ქონებას ის გირჩენია, სულიერი რამე შეიძინო და ცოდვების მონანიებას შეუდგეო.

— როგორ მოვიქცე, მამაო? ჰკითხა გლებმა.

— როგორდა, გაჰყიდე ისიც, რაც მევალეებს გადავიჩნა, შენი ხვედრი ოცდაათი თუმანიც და მიწის საფასურიც ჩვენ ეკლესიას შესწირე და შენც იერუსალიმში წადი სულის საცხოვენგლად.

გლებიც ასე მოიქცა: ადგილ-მამული გაჰყიდველად ეკლესიას შესწირა, ჩაიკვა, დაიხურა და მღვდელს თავისი ოცდაათი თუმანი მოსთხოვა საგზაო ფულად.

— თუ დამიჯერებ, შვილო, მთლათ უნდა დამიჯერო, რათ გინდა ფული? სახარებაში ასე სწერია, როდესაც ვინმე სულის საცხოვენგლათ მიღის, არც ფული უნდა ჰქონდეს თან, არც ვერცხლი, არც ქოქრო და არც უბრალო გროში, — არც საგზაო ხალთა, არც ორი ხელი ტანისამოსი, არც ფეხსაცმელი და არც ჯოხი.

გლები განცვიფრდა, მაგრამ მღვდელმა მათეს სახარების მეათე თავი ვადაუშალა გლებს და თვითონვე ამოაკითხვინა ზევით მოყვანილი სიტყვები.

— კი მაგრამ, მამაო, გზაში რომ მომშივდეს რაღა მეშველება?

მღვდელმა კიდევ გადუშარა მათეს სახარების მეექვსე თავი საიდანაც ორივემ გროსად შენდებე ამოაკითხა: „ნუ ზრუნავთ თავისა თქვენისათვის რაი სვით, რაი სქამით, ანუ რაი შეიმოსოთ — მოხედეთ ფრინველთა ცისათა, რომელნი არა სთესვენ, არცა მკიან, ხოლო ზეციერი მამა ასახრდოებს მათ“.

— დღეს ხომ სქამე შეილო, უთხრა მღვდელმა, ხვალისათვის კი ნუ ზრუნავ! სწერია ამავე სახარების მეექვსე თავში. მაშ ნურაფრის დარდი გაქვს. გაუდექი გზას და პირდაპირ იერუსალიმში ჩახვალ. თუ ფეხით სიარული მოგწყენდეს, ვირს ნახავ სადმე ღობეზედ მიბუღს, ასხენი, შეგკეპი ზედ და წადი, ასე მოიქცა თვით მაცხოვარი როდესაც იგი იერუსალიმში მიდიოდა დააბოლოვა მღვდელმა.

გლები გამოემშვიდობა მღვდელს, გაიხადა საცვლების მეტი ყველაფერი, ორიოდვე ჯიბის გროშაც ძირს დაჰყარა, ხელიდან ჯოხი ვადაგდო და გზას გაუდგა.

ორიოდვე სოფელი არ ექნებოდა გავლილი, როდესაც ძალზე მოშივდა. გაიხედა მინდორში და დინახა რომ ბატები ბალახსა სქამდენ, მოაგონდა მღვდლის სიტყვები — შეხედეთ ფრინველთა ცისათა-მსწრაფლ მიწაზე გაფორთხდა და მწვანე ბალახს დაუწყო პირით ბღღნა და ქამა, მოკვიდნენ მწყესი გოგო ბიჭები და ახალ მოდის გადარეული სიცილ ხარხარით ადგილიდან გააგდეს. საშინლად სცხელოდა. გლებს მზემ ზურგი აუწვა და აუტანელმა წყურვილმა დასტანჯა, იქვე დიდი წუმბე დგდა. დაუწვა გლები, გაუშაძირდა დაეწაფა. წელანდელ ნაქამ ბალახს წუმბე დაერთო და გლების მუკელში საშინელი ამბავი დატრიალდა. მკვდარ ცოცხალი გლები მიწაზე დაეცა და ძლივს მოსულიერდა, ისიც სიშინელმა შუადლის ალმურმა გამოაფხიზლა. შეხედა კამეჩები წუმბეში იწვნენ, აქაც გლებს მღვდლის სიტყვები გაახსენდა „შეხედეთ ფრინველთათა“ გულმეწუხებულს კამეჩები ფრინველებით მოგჩვენა და წუმბეში ჩაუწვა.

როცა ოდნავად გაგრილდა ისევ გზას გაუდგა. გაუდგა, მაგრამ სიხითა და შიმშილით ფეხების ძლივს მიათრევედა. საფლის ბოლოს ნახა ღობეზე მიბმული ვირი, ასხნა, შეგჯდა და არხვინათ განაგრძო გზა.

ვირის პატრონი გამოუდგა გლებს, ძირს ვადა-მოაბანა და ძალზე მიტყუა. გლები, როგორც მას მღვდლიდგან დახმარებული ჰქონდა, ისე მოიქცა,



და ხმაც არ ამოუღია. ვირის პატრონი ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა და გლუხს კარგი სილა გააწნა. „ოდეს“ გცემნენ უყვარბილსა ერთსა, მიუშვირე მეორეცაო. ვეახსენდა გლუხს მღვდლის სიტყვები და ვირის პატრონს მეორე ყბა შეუშვირა. ვირის პატრონმა აქეთაც გააკრა სილა. გლუხი ხმასაც არ იღებდა. ვირის პატრონმა იფიქრა, ეს ნამღვიღ ვილაც გიყიო, ერთი წიხლიც ჩაპკრა და თავის ვირით უკან გამობრუნდა. ყბებ გიხურებული, ფეხ და თავ შეიშველა გლუხი ისევ გზას გაუდგა. მეორე სოფელში რო შედიოდა, მას ძაღლები დაეხვივნენ. რადგან ჯოხი მღვდელმა შინ დაატოვებინა და სხვის იღუბას კი ვერ ზედავდა, ვადანწყვიტა ძაღლებს ცალიერი ხელებით შეხვედროდა. შეხვდა, მაგრამ იმისთანა თქვენს მტერს, ძაღლებმა საცვლებიც შემოახიეს და კუნთებიც გამოჰმეს. ცოცხალ მკვდარმა გლუხმა ღამის გასათევად ტყეს შეაფარა თავი. ერთ დიდ მუხაზე შეტოცდა, პირჯვარი გადიწერა, მღვდლის ნასწავლებელი ლოცვა წარმოსთქვა და ჩაეძინა. მეორე დღეს იერუსალიმისა და სულის ცხოვრების მაგიერ ნახეს ხიდან ჩამოვარდნილი, საშიშრად თავვაპობილი გვამი მისი.

ფარაონი.

მესტვირული.

(ხამდროო).

თითქმის წლის ბოლო ჩამოდგი, სტვირზე არ დამიმღვრია. არ მომიპართავს ქამანჩა, გრძობით არ ამიედერია. არ გამოიფერთხავს ბურუსი, რაც გულსა ზედან ხვევია თუმც სასიმღერო შაირნი ქვეყნათ მრავალი ფერია: ომი; სიმშლი, ვაება, ჰა, რას მოუცავს ერია, მოძმე მოძმესა ყელსა სპრის, მოყვარე მოყვრის მტერია, გული ბოლოთა აღსავსე; ტანჯვებსა დაუსერია ზურგს წამოვისხი ნაბღუკა,

ავდრისგან დამფარავთ, გულა მხარს ვადავიკიდე, სტვირი ზედ დასაკრავია, და მოვამხადე სამგზავროდ, ეს ჩემი მოსართავია, და წყნარი ღლიღ-ღლიღით, ბათუმს ამოგყავ თავია. ვავზლის ქუჩაზედ შევწერდი, აქ ვაპირებდი „ხუმრობას“ ყველა სიამით მიტქერდა, ჰკვირობდენ ჩემსა სტუმრობას, ზოგს უხაროდა გულითა, ზოგსაც ვიტყობდი მღურეობას, კარგათ იტოდენ ვძრახავდი მე მათსა უსაქმურობას, შეგჯუფებულნი ქუჩებში, ხეივანთ ასაყვავადა ფაქისა გრძობას ზრდილობას მეტად ხმარობენ ავადა, თავსა ესხმიან დიაცთა სიარცხელის მოსაკლავადა. „სევერნი ნომერს“ მივადექ, შევადე შეველ კარია, თავს წავადექი „კაკუნებს“ მუნ ვნახე გასახარია, ამ მოწინავე ამხანაგთ, გაუჩითათ კარტია, ესენიც ჩვენი მხსნელები! და რწფელი დემოკრატია! კარტ ნარდოსნობა ამათვის დღეს სამლოცველო ხატია. ავახმარტკბილე სტვირი მე და მიუმღერე ყრბილობას — ეგოისტებო სიტყვითა, არ სცილობთ საქმის ფრთხილობას რა პასუხს გასცემთ ამ ქვეყით, მომავალ შვილიშვილობას, შემდეგ ვავსწიე მიტინგზედ, ხალხიცა ბლომათ კრებოდა წითელი დროშა მოჰქონდათ, ზედ სისხლის ფერი სდებოდა, ჯგუფ ჯგუფათ სრული წყარბით, მოედანს ესწრაფებოდა, მოზავდროშენი კი ამ დროს



სარკებიდან ჰკრთებოდა,
 თვალს ადევნებდნენ, შხამითა
 მტერს გული მით ევსებოდა
 რომ მოძმეთ გულში ურთერთის
 ერთობა ითვისებოდა
 რა დიშალონ ყველანი,
 მე სადგურს შექარებოდა,
 გურიის ნახვის ვადისა
 დროება შექარებოდა.
 მატარებელში სიტყვები,
 რაც გავიგონე იქ თქმული,
 კანტროლთა მექრთამეობა,
 და ქვევა ის უზრდელური,
 „ძველ სიშჩიკებს“ იქ ყოფნა,
 იყო ეს თვალდანახული.
 რამეჟნა სიტყვა ვერა ვსთქვი,
 რაც იმათ შეგებოდა,
 ვაჰ, მეშინოდა „სიშჩიკთა“
 მე ხელი შემეგებოდა,
 სიცრუის მთქელად ჩამთვლიდა
 ვისაც არ გავეგებოდა,
 მიტომ სიხუმე ვარჩიე,
 რომ ტანჯვა არა მრგებოდა.
 თვალ ნატკენ სანახავობით...
 სადგურ ნატანგებს ჩაველი,
 მატარებლიდან გამოველ,
 და ეტლისათვის წაველი,
 მაგრამ აქ აღიაკათი.
 თურმე ყოფილა რაძნელი
 ეტლისა შოვნა, მგზავრობა,
 ყოფილა დასატანჯველი,
 როგორაც იყო ვიშოვე,
 ვალისგან თვარ გავიწურე,
 ოზურგეთს მიწდა ვესტუმრო
 „ვსდეთ კუნწულის ის ყურე,“
 გულა და სტვირი დავმაღე,
 ზედან ნაბლუკა დავხურე,
 არ შეემჩნიათ მიწდოდა,
 მე მისი მოსამსახურე.
 მივედი ქალაქს ოზურგეთს
 ტურფად და ნახად შემეკულსა,
 ყვავილს მონაწყვეტს სამოთხის,
 და ხეს ედემში დარგულსა,
 სად გაუშლია თვის გული
 უსუფთაობას ქებულსა
 სად აღუმართავს ბრძოლის მთა,
 დრუტუნებს დასუქებულსა,
 ფედერალისტთა ბიუროს
 უმაღ მივადექ კარხედა:
 სამი კაცისგან შესდგებით,
 ნეტავ ირკებით რაზნედა,

ბეჟანი ცენტრსა განგებს,
 მიხა კი არის განზნედა,
 აქტიურ მუშაობაში,
 ყოველთვინ სდგებარ ვარზნედა.
 მხოლოდ ეს „ტილისწამება“
 არ ითქმის, პროფიზორზნედა,
 იგი ბეჟანის კულია,
 არ ვასცულის ერთ ჯამ დოზნედა,
 მოძმენო თქვენი სიტყვანი
 აქ არად გამოდგებიან
 ვით უდაბნოსა დადლილი,
 დიდ ყურა დავარდებიან.
 და თქვენი დემაგოგობით,
 თქვენ ნდობა დამდაბლდებიან
 თქვენი სიტყვების რიხრითთ,
 აღარა მოსტყუედებიან,
 თქვენ რასაც ეძებთ აქ ისა,
 ძნელათა იპოვებიან
 აქ თქვენი სიტყვა და საქმე
 ვით თოვლი განქარდებიან.
 ქუჩად ვიხილე სოფელელი
 იყურებოდა ცაშია:
 ვიკითხე: რაზნედ ოცნებობ
 გლოვანი შენი რაშია?
 ხელათ მომიგო ჰასლები,
 ვადაცევიდითო ზღვაშია,
 თოხი კუთხეში მიგდია,
 ვერ ჩაველ მე ყანაშია,
 წვიმებმა გავგანადგურა,
 ველარც გავსულვართ კარშია
 ჩემი იმედი გულსისა,
 შიგ მულხამდისი წყალოშია,
 ქვეყანას შიმშილობისა
 გარს ერტყმის შავი არშია,
 ოზ ღმერთო დარი გვადირსე,
 ვიხრჩვებით ამ ავღარშია
 ქირანახელს გამევეთხოვეთ
 აწ მომავლსა წელშია,
 რათ მკითხავ მიკვირს ძმობილო,
 თუ რათ ვარ მწარე ვიქრშია?
 თვალზე ცრემლები მომადგა,
 მაშ რალა მემღერებოდა?!
 მწარე ფიქრებში გავერთე,
 გული არ იმედებოდა
 თუ რომ ასეთი „მოვლენა“
 ბოლომდის ასრულდებოდა.
 სიმშლის შავმა აჩრდილმა
 სულ მომიშალა მოლხენა
 გული დლონდა დარდებით,
 სტვირისც დაეტყო მოწყენა.

ბუბიას ზღაპარი

(წარმოთქმული 1977 წელს)

იყო და არა იყო, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხემწიფე.

თითონ მას ეგონა, ბარტყებო, რომ ღვთის უკეთესი იყო, თორემ, იგი ეშპაკედაც უსაშინლესი იყო და ჯოჯობებზედაც უბნელესი.

მე იმ დროს ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. ვცხოვრობდი მაძიჩემის ოჯახში წყნარათ და თავისუფლად.

ერთ მშვენიერ ზაფხულში ქვეყნად სამიშარი ამბავი დატრიალდა.

მთელი ქვეყნის ხემწიფეებმა წაინსტუმრეს და ერთ-მანეთს მიესივნ. შეიქმნა შეუძარილებელი ქლევტა. დღე ერთი იყო, ათი ათასობით ხალხი წყდებოდა. ომმა ჩანთქა არა თუ მარტო ხალხი, არამედ ყველაფერი სანოვაგეცა და საომარი სურსათიც.

პაპათქვენი მაშინ მოკლეს საღდაც შორს რიგის ყურესთან და ჯერაც არ ვიცი სად მარხია მისი ძელები, რომელ ხის ძირში.

რაც დღე მიდიოდა სიცოცხლე თან და თან მნელმბოდა.



— მე მიკამია და მამათქვენისთვისაც მიკმეგია ქათმის კვერცი, რომელიც ცალი მანეთ ნახევარი ღირებულა.






ქართული

— თქვენ გიკვიროთ პატარებო? მე ხშირათ
მისვამს ღვინო, რომელიც ბოთლი ხუთი თუმანი

ღირებულას კონიაკი ჩვენთვის მხოლოდ 1200 მანეთს
იღებდა თვეში ჯამაგირს.



— ერთ ზაფხულში მე შლიაპა ვიყიდე, რომელშიაც ჩემმა ქვარმა ორი თვის
ჯამაგირი 2,400 მანეთი მისცა.



— თქვენ, ჩემო პატარებო ჯერ რა გინახავთ!
აი ამ ფეხებზე მაშინ შეცვა 400 მანეთიანი ტუფ-
ლები.

და ვანა მარტო მე, იმ დროს ყველა ასე ცხოვ-
რობდა, რადგან უბრალო მუშაკ კი თვეში 400
მანეთს იღებდა.

ქუთაისი

(პეგრჯერ ნაცვეთი*) ლაზარე შურღაია და ხო-
ნელი მეეტლე.)

— გამარჯობა, ამხანაგო შენი — მიესალმა
ლაზარე მეეტლეს

— გაგიმარჯოს, ბატონო ღმერთმა, — უპასუ-
ხებს მეეტლე და თან ჩაიცინებს.

— ხონში მინდა წასვლა პარტიის საქმეზე და
აღვლილი ხომ არ გექნება ეტლში?

— კი ბატონო — წინა გნებავს თუ უკანა?

— რათქმა უნდა უკანა, მხოლოდ ფასი რა
ექნება?

— ბატონო, თქვენისთანა შემდეგული კაცი
ფასს რად კითხულობ, ჩაბრძანდი და წაგიყვან

— არა მინდა საჭიროა წინდაწინ გავიგო, რომ
შემდეგ ლაპარაკი არ შეგვექნეს.

— უკანა ადგილი, ბატონო, ათი მანეთი ელი-
რება!

— უპ, რას ამბობ კაცო, აგრე ძვირათ — გა-
გიგონია? შენ ხომ სოც. დემოკრატი იქნები და
განა ეს ეკადრება ხალხის ინტერესების დამცველ
პარტიის წევრს? (ლაზარე ჩუმით იცინის).

— რა ვქნა ბატონო, მართალია მე სოც. დემო-
კრატი ვარ და აგრე ძვირათ დაფასება ძალიანაც
მიმიძის, მაგრამ უნდა გავიტყუდე სიიღმლოებაში
ცხენები მყავს სოც. ფედერალისტების პარტიის
წევრები და ნაკლებათ არ შევბიან. გაეცანით და
იქნებ, როგორც მათი პარტიის ლიდერს დაგიკლოს,
რაზედაც მე საწინააღმდეგო არაფელი მექნება.

— არ მომსპო ამ ოჯახ დაქველმა!? — ჩაილა-
პარაკა ჩუმით ლაზარემ. (მაყურებლებში საერთო
სიცილია.)

სატანა,

*) პეგრჯერ ნაცვეთი, ეს ქართული ტერმინია ისე კი
შირიკეტ ლიტერატურის სპარაბეზი.

უსტარი ეშმაკისადმი.

(სოფ. ტიბანიდან, სიღნაღის მახრა)

თავისუფალ ჯოჯობეთის
დიდო ტარტაოზო,
გარეგნობით*) შე ეშმაკო,
სულით ანგელოზო;

გთხოვ როგორმე მოიკალო,
თუნდ სულ მცირე ხანსა
და ეწვიო რვეზორად
სოფელ ტიბანსა.

ჩვენში ისევ ძველებურად
სუფევს ყველაფერი,
ხალხს დღესაც კი ვერ უცნია
მოყვარე და მტერი.

მაგალითად რომ ავიღოთ
აქაური მღვდელი,
სწორედ ისე მუშაობდა
ვით ტარტუფი გველი.
თუმც ის ძლიერ განარისხა
ტაბლის აკრძალვამა,
მაგრამ სხვაფერე დატრიალდა
„სულიერი მამა“


ერთ დღეს თვისთან მიიწვია
ურჩი გლეს კაცობა,
გაუშალა ლურჯი სუფრა,
გააჩადა თრობა.

წვეულთ მანვე გაუწია
„უბვი“ მასპინძლობა,
ღვინის სმის დროს იქადაგა
„ერთობა და მშობა“.

როცა ხალხი გამოათრო
და დაუხშო გრძნობა,
„სამღთო“ ტაბლა-კორკოტებზე
მაშინ იწყო ბჭობა.

თითქმის ისე დააბრმავა
ურჩი გლეს კაცობა,
რომ მათს დადგენილებებზე
ამყებინა გმობა.

*) ფსევდონიმით, კარიკატურით.



მისიე ხრკით დაითხოვეს
სოფლის ბანკის გამგე,
ხალხის გულ-შემატკივარი,
მისი მოამაგე.

და სანდრო თათარაშვილი
რა წამს დაითხოვეს,
ბანკის მართვა-პატრონობა
ამ ხუცესსა სთხოვეს.

—
ასე იყო. აღუქსანდრე*)
ასე შეაჩვენეს,
და მის ნაცვლად ბანკის გამგედ
კოტე***) დააყენეს.

სხვასაც გეტყვი, მაგრამ, რომ ეს
არ მიიღო ჭორად,
ამისათვის ადგილობრივ
გიწვევთ რევიზორად.

ჭინკა.

სოფლას მეჭორეები.

(უძღვნი მეჭორე ქალებს)

დაღალული ჯაფითა,
მოდის თეო ჩაფითა,
რომ წყალი მოიტანოს,
ხელ-პირი დაიბანოს.

და წყაროსთან თამარა,
(მარტო თუნგის ამარა)
გამოსულა ველათა.
ჭორების სათქმელიათა.

ძალითა და ნებითა,
ახალ ამბავებითა,
გაბერილა ვით ტიკი
და დაიწყო ტიკტიკი!..

გაისმა ტიტინია.
გამოიქცა თინია!...
მიმოვაველე თვალები,
მწუობრათ ისხდენ ქალები!

გაიცინა თამარა
(ჭორის გულა—ტომარამ)
ისე ვყიდი ჭორებსო,
ვერვინ ვერ მისწორებსო!..

ხალხის დანახავზედა,
სწრაფათ შებტა ქვავზედა,
ერთი ამოახველა,
და გაინაბა ყველი!

მოჰყვა: ქუთაისშიო,
არის დიდი შიშიო!
ვილაც ძარიანათო,
ურემ-ხარინათო,

ჩაუყლაპავს გველსო,
მყრალს და საძაგელსო.
როგორც რომ ბაწარო,
ისე გრძელი არისო.

თურმე ასი რქა ააქესო,
დედამიწა გააქესო.
გველესა-ყლაპავიო,
ცხრა თავი აბაიო.

დაღუპულა თურმეო
საწყალი მეთურმეო,
გაუწყრეს ღეთის ძალაო,
ჩვენში რამ მოღალაო.

ივლიან მერკვილაძე.

თ ხ ო ვ ნ ა

მის უმადლესობას, ჯოჯოხეთის მთავარ კომისარს ამხ. ეშმაკს.

ქალაქ ნასაღოვის (თფილ. გუბ.)
მოქალაქე „ჩაუწყულო.“

მოწყალეო ეშმაკო! მას შემდეგ, რაც ნიკოლოზმა, მობეზრების შემდეგ, რუსეთის დემოკრატიის დაუთმო თავისი ტანტი და საექსკურსიოთ შორეულ ციმბირისკენ დაიწყო აზარგვა, მე ვფიქრობდი: მორჩა და გათავდა, აწ აღარ ექნება ადგილი იმ უსიტყვოთ*) კარების გამოახურვას, რაც ახსიანებდა ნიკოლოზის უადრეს გულკეთილობას. მაგ-

*) ბანკის გამგე სანდრო თათარაშვილი.

***) სხვენებული მღვდელი კოტე ნინიაშვილი.

*) გინება და ცემა ახა რამისთვალაა?

რომ საშინლათ მოვტვილი. ჩემი იმედები არ გამართლდა. პირობით, ზოგ ბნელ კუნტულეებში ახლა უფრო ცუდ ამბებს აქვს ადგოლა. წინათ წლოვრობას მიიწ აქცევდენ ყურადღებას, ახლა იმასაც არ დაგადვენ. საქმე შემდეგშია: ამას წინათ ძველი სასულიერო სემინარიის შენობაში შევიარე, რომ გამეგო ერთი დიდხნის უნახავი კაცის ამბავი. ავედი კიბეზე და გაუფრთხილებლათ შევიადე ნაცრობის ოთახის კარები შევადე კარები თუ არა სახტათ და ვჩი. ჩემ თვალების წინ უცნაური სურათი ვადანიშალა. პატარა, სულ ექვსიოდე წლის ბავშვი თავგანწირული ღრიალით დაიწყო კედლებზე ფათური. გამაგებელი უნდოდა სალდა გაქცევა, მაგრამ ვერ ახერხებდა კედლების სიმაგრის გამო. პირველ შეხედვაზე ძლიერ გამოაცა ამ მოულოდნელმა სანახაობამ. ვიფიქრე იქნება მევარ ასეთი საშიში სანახავი მეთი და მივარდი ფანჯარასთან (როგორც ქალებისთვის მიყურებია) მინაში ჩასახედათ. სახე და საზოგადოთ მოყვანილობა დამაკმაყოფილებლათ ე. ი. არა საშიშრათ, ვიცანი**). აღარ ვიცოდი რამეკნა, რით მეშველა ამ საბრალო ბავშვისთვის. მეტი გზა არ იყო, კარებში გავეჩრდი და შეუდექი მიზეზების გამოკვლევის, მომავლნდა პატარაობისას ბარტყების ქერა და გალიაში ჩასმა. სწორეთ გალიაში ჩასმულ ბარტყს მაგონებდა ეს ბავშვი, იმბარტყს, რომელიც გალიაში შეყოფილი ხელის შიშით თავდაუზოგავათ ეხეთქება კედლებზე. მაგრამ ვერ მიემხდარიყავი, რა იყო საერთო ჩიტსა და ბავშვის შორის. ჩიტს სიტყუარით მოსდის. მაგრამ ბავშვი ხომ ტყუარი არ არის, ვფიქრობდი მე. ამ ფიქრის დროს თვით ოთახსაც შემოვავლე თვალი, რომელიც ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში იწყოფობდა. მარჯვენა კედრით იღვა მაგრად და სკამი, რომელიც შემინებულმა ბავშვმა კინაღამ დაამტვრია იქვე კედლებზე ორი დრომა იყო აყულებული. მე გულ მოდგენით დაიწყე წარწერების ამოკითხვა. „მიეკით ხალხს მიწა და თავისუფლება“. წაკითხვისას თვალ წინ წარმომიდგა დამწერის უსაზღვრო გულ უხვობა. დანარჩენის წაკითხვა ჩემთვის საჭიროც არ იყო, უკვე მიმხდარი ვიყავი, ეს ჩვენი ერის სიმაყე პარტიის დრომა იყო. დანაოქე-

ბულმა და ფერტყულმა დრომამ მომავლნა ჩვენი მრავალტანჯული ერთი და მისთვის თავდადებული პარტიის მოქმედება ერის საკეთილდღეოთ, მომავლნა ამ პარტიის მშენებნა, თავგანწირული მებრძოლი, თელი ლლონტი*) და მირი სარკე „სახალონო საქმე“ (იხილ „სახ. საქ. №). რომლის თვითეულ სტყუაში თედოს მშენებნა გამოიყურება.

ამასობაში ბავშვის ვაცხარება უკიდურესობამდის მივიდა. მე იძულებული ვავხდი ფიქრისთვის თავი დამეხებინა და მის დამშვიდებისთვის მიმეყო ხელი. ეხლა ჩემთვის აშკარა იყო მიზეზი. ბავშვის შეშინებისა, მაგრამ მიიწ შევეკითხე.

- რა არის ყმაწვილი შენი შეშინების მიზეზი?
- ..მე... ევე... მე... ეე... მეე... მეე...
- რა იყო რა დავამართა?
- ...-მე... შეე... მეე... ში... ნა...
- მიზეზი ძია შენი შეშინების?

ამ სიტყვებზე ბავშვი ცოტა დამშვიდდა, იგრძნო ჩემი ბავშვისადმი უსაზღვრო სიყვარული, ალბათ მიხვდა, რომ სფრთხე აღარ იყო და დარტყენით შემომხედა.

მე ხელ მეორეთ შევეკითხე.
 — მე შეშინა, რადგანაც... რაც აქ ვარ მის შემდეგ ერთი კაციც არ მიხახავ შიგ შემოსული. შემდეგ ჩემს შეკითხვაზე თუ რათ ზის მარტო ამ ოთახში, მან მომიგო, წვერებს ვწერ პარტიაშიო. იმდენათ სიბრალულის აღმძრელი იყო ბავშვის საქციელი, იმდენათ შესაცოდებელი იყო მისი ცეკრა, რომ იძულებული ვავხდი თქვენდა თხოვნით მომემართა, თუმცა პარიკომალრათ თხოვნების წინააღმდეგი ვარ: აი რა ჩავგვას აქვს ამ ქვეყნად დღესაც ადგილი და უზოარჩილესათ ვთხოვთ დოქციით ამას შესაფერი ყურადღება. ყველა ეს ღრობით მთავრობისთვის საიდუმლოებას შეადგენს, მხოლოდ ერთს, თქვენს შორს გამჭერეტ ავალებს შეუძლია დაინახოს ეს უსამართლობა. რასაკვირველია მე ამ თხოვნით მოგმართავთ, არა დროებით რვეოლ. კუციონური მთავრობის, არამედ დროებითი „სარვეოლიცია“ პარტიის წინააღმდეგ. ჩემი თხოვნა კონკრეტულათ ასეთია: დაიხსნათ ბავშვი ამ ვასაკირისავან და შემდეგისათვის არ მისკეთ პარტიის საშუალება ასეთები ჩიდიდნოს, თორემ თუ ვნაშა დალაქმა ვერ მოასწრო ბავშვების დღეგეზომერეთში, თელი ლლონტი რამოდენიმე ბავშვების ვატყუარებას მიიწ მოასწრობს აქ.

მთხოველი: ჩაპუჭული.

***) სახის დანახვაზე შიში თითქმის სულ არ მაგრძნობდა რაეფი.

*) მკითხველს ეცოდინება თუ რით და რას ებრძვის ეს მგოხანი. რასაკვირველია, კალიში მგოხანს და ქალღალს.



კომისარტან

გაგრძელება, ის. „ეშ. მთ.“ № 36.

VI

კომისარი, მილციონერი და ბასილა.

ბასილა. (შუა კაცია. ღარიბულად, მგერამ სუფთად აცვია. ეტყობა ჯაფისაგან მოტეხილობა. ჩოხა-ახალოხი აცვია, ფეხებზე ქალამნები, თავზე ტყავის ქული ჰხურავს. გველ ლაბარაკთან სიტყვის გაბრტყელებაც უყვარს. შემოსვლისთანავე ქულის მოიხდის და მდებლათ სილამს აძღვეს კომისარს.) კომიტერი აცოცხლა ღმერთმა!

კომისარი. გმადლობთ, რა გნებათ, ბძანეთ.

ბასილა. (ხელებს ღაპრობს) ღმერთია მართალი, რომე მე ბოროტი კაცი არცა ვყოფილვარ და არცა ვარ. რაფარც ქრისტეს აღდგომას, ისეთ მოველოდი ამ ახალთაობას, ბატონო კომიტერო, მარა რაღაცა ვლახა ამბავი მეყურება და შენ თუ არ ხარისხენი რაშია საქმე, ნამდვილ რწმენა დამეკარგება ამ ახალთაობაზე.

კომისარი. (გაკვირებული) რაშია საქმე, ამბახაო, სთქვით!

ბასილა. ბოშო, აშენებს მოველოდით ამ ახალთაობიდან, შენი ჭირი შემეყაროს და რავე დევიჯერო ახლა იგი მართალი იყვეს... (კომისართან მივა ახლო და ჩუმად ელაპარაკება) შენ ჩვენთვის გლახა არც სხუმის გლომებია და რავე დევიჯერო ახლა შენ რჯულსა და სარწმუნებას უღალატო!

კომისარი. (განცვიფრებული) გაბაგებინეთ რაშია საქმე?!

ბასილა. (სიტყვის ბრტყელებით) შენი მუხლების ჭირიმე მართალი მითხარათ ყორასფელი. ამ თორმეტი წლის წინეთ ქე გიცნობდი ჩვენ სოფელში რომ დღეიარბოდი და ქადაგობდი. ისეთი სიყვარული ჩამიფარდა შენი, რომე ქეშმარიტათ დღიძლმას მირჩევენხარ. ხო და მე იმიზა ვიხებლით შენთან, რომე შენ ნამდვილ მართალს მეტყევი ყორასფერს. ბოშო, ამბობენ: „გულეხებს მიწები უნდა ჩამოვართვითო“ და შენ დაგენაცვლოს ბასილა, მიიხარო მართლა ასტეა ჩვენი საქმე, მართლა ასეთ უბედურ ეტლზე ვართ დაბადებული, რომე ხალხი

გაკეთებას მოველოდით ამ ახალთაობიდან და რა-ცა ვაქვს იმისც ვგართმევენ? ბოშო, ჩვენი უჩიტელი ბროდილობდა საყტარზე რაცდას, მარა როდი დოუჯერე შენი ჭირი შემეყაროს, მე შენთან იმიზა ვიხებლი, რომე შენ რასაც მიბძანებ, ის ნამდვილ მართალი იქნება.

კომისარი. მერე ვინ ავიხსნათ თქვენ ასე მიწის საკითხი?

ბასილა. ჩვენი უჩიტელი ქადაგობდა ხალხში, შენ დაგენაცვლოს ბასილა, რომე „ყველას უნდა ჩამოვართვით მიწები“ ო, ბოშო, მე კანი თელთა ვადევილიტე მუშაობით ხელგმზე, რაცხა ვიხლოფორთე, სამოსახლო მიწა ვავაშენე და ეხლა თუ იგი სხვამ წამართვა, ნამდვილ თავს მოვიკლავ შენ ნუ მოუკვდები ბასილას! ბიჭო, ჩემ სამოსახლო მიწას, ჩემი ბრუციანი სახლიცაიო თუთხმეტი წელიწადია მოსჩერებია და უნდა ხელში ჩევიდოს, მარა დღეი და დამე ვავსწორე, რომე მტრისა და მეზობლის სამახსარაოთ არ შევიქნე თქვა. ისტე ვავაშენე იგი სამოსახლო მიწა, რომე ქეშმარიტათ მოგეწონება რომ ნახო. (წუწუნით.) მერე საცოდვარი მიმიჩნების ხელითაა დარგული ეზოში თერთმეტი მისთანა ბეოლია რომე... (ტირილით) საცოდვარი რომ კვდებოდა მიმიხმო და მითხრა: „ე, ბიჭო ბასილა, ამ ბეოლებს გოუფთხილდი და ჩემ სამახსოვროთ გამოზარდე!“ ო. ეხლა რომ მე ის მიწა წამართვას ვინმემ ნამდვილ თოლხო კვერცხივითა შევასკვები ზედ, შენ ნუ მოუკვდები ბასილას!

კომისარი. ტყუილი უთქვამთ შენთვის, ჩემო ბასილა, შენ იმ მიწას ვერავინ წაგართმევს.

ბასილა. (გახარებული) იი! შენ აგაშენა იესო მაცხოვარმა ნამდვილ ვერავინ წაგვართმევს აბა, ჰა! კომისარი. კაცო, რამ ვადავრია, სამოსახლო მიწას ვინ წაგართმევს!

ბასილა. ისეც კი დაგემართოს! (წისვლის აპირებს, მაგრამ შემობრუნდება) მე იმ ბეოლების დარდი მაქვს. შენ დაგენაცვლოს ბასილა, თვარა სხვაი ჯანაბას ყორისფელი, რამდენ კეკალ ბეოლას მოვსწყვეტ, ბატონო, მაშინვე ის ცხონებული შამჩემო დამიდგება თვალწინ. ვიი, დედიია რა ვაეკაცი იყო! კვდებოდა უბედური და იმის მიბარბა: „ბიჭო, ბასილა არევი დაგიჯანბნოსო“, ეხლა თუ ის პატარძალივით მართული სამოსახლო მიწა წამართვა ვინმემ. ნამდვილ დაჯანბნება ის იქნება და



სისხლს დაეჭკვე, შენ ნუ მოუკვდები ბასილას. იმ ცხოვრებულის ანდრძის მიანიც არ ვაგტებ; თუნდა რომე ახლავე ბაწარში გამაყოფიო თავი.

კომისარა. (ღიმილით.) სრულიად დაიმედებული ბძანდებოდე, ჩემო ბასილა, შენ სახლ-კარს ხელს ვერაფერ ახლებს.

ბასილა. (ძალიან გახარებული) იი, მართლა შენ დაგენაცვლოს ბასილა?! (ხელებს აღაპყრობს) ღმერთო, შენ აცოცხლე დაგამარავლე ჩვენი კომიტატი დედა, იგი ბეოლები თუ არაფერ წაპრთვა მეტი კი არაფერი მინდა (მოდის)

კომისარა. ნუ გეშინიან, ნუ, ვერაფერ წაგართმევს.

ბასილა. (კარებიდან მობრუნდება) განა კი რა, შენ დაგენაცვლოს ბასილა, მარა საცოდვარი მამიჩემის ხელთაა დარგული ის ბეოლები და მენანება; ბატონო კომიტატო, მენანება. იმ ბეოლებს რომ შევხედავ, შენ დაგენაცვლოს ბასილა, თუნდამც მამიჩემიზა შემიხედია.

კომისარა. (სცილით) ნუ გეშინიან, ჩემო ბასილა, ნუ.

ბასილა. (კიდევ შემობრუნდება) მეგრე, რამხელა კეკლები იცის, ბატონო კომიტატო.. ღმერთო, შენ ააშენე ჩვენი კომიტატის ოჯახი. (მოდის)

კომისარა. გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ბასილა.

ბასილა. (კიდევ მოტრიალდება) იი, შენ მუხლებს დაგენაცვლე, რომ ყორისფელი გამაგებო, თვარა ნაჯახი უნდა გამომესო კისერში ისეთ იყო საქმე, არა, მე იგი მაჯაგრებდა, ბატონო კომიტატო, რომე სულ კეკალ-კეკალ მამიჩემის ხელითაა დარგული ის ბეოლები და მის წარამეფის ნამდილო ვერ მეფითმენდი, შენ ნუ მოუკვდები ბასილას. მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ბატონო!

კომისარა. გმადლობთ, გმადლობთ.

ბასილა. (კიდევ შემობრუნდება) რაღაი ის ბეოლები მე დამრჩება თუნდამც ათასი მანათი მეშონოს ისტე ჩავაგდებ, შენ ნუ მოუკვდები ბასილას. მშვიდობით, მშვიდობით, შენ დაგენაცვლოს ჩემი თავი. (მოდის მუქარით) მე ვაყურებიგბ სეირს იმ ჩვენ მატყუარა უჩიტელს! (გდის)

კომისარა (იციინის) საწყალი კაცი ძალიან შეშინებული!

შაფიფიონკრი. იმე, ბეტონო, შეშინდება აბა

რა იქნება! კაცს ვი-ვაგლბანა ზანცისმეტყოჩიხები და იგი სხვამ წაართვას ხუმრობა კრ არ არის კომისარა. ვინ წაართმევს, რას ლაპარაკობ შენაც! გუფე კარები, შემოუშვი და მოგჩრეთ. (მილიციონერი კარს აღებს და შემოდის ანთიმოსა. თან მოყვება სალომე.)

VII

კომისარა, მილიციონერი, ანთიმოსა და სალომე.

ანთიმოს — (ღრმად მოხუცებული კაცია. ძალიან ლარიბულად აცვია. ჭუჭყისაგან გაშვეებულ პერანგზე ძველი დახეული ახალუბი აცვია. უბრალო ღვედი არტყია წელზე. ფეხზე ქალამნები აცვია. თავზე ყაბალახი ჰხურავს. შემოვა ყაბალახს ვადიხდის და მდამლოთ თავს უყრავს კომისარს. დაეკრძნობა ჯოხზე და ისე ელაპარაკება. უკბილობის გამო ჩივივებს.) ახალთაობას გუშუმარჯოს!

კომისარა — გაუმარჯოს, გაუმარჯოს! სხვა, ბაბუა, რას გვიბძანებ?

ანთიმოს — (გულზე ხელს ირტყავს) ვი, დედასა, სად ყოფილა სამითხე და სად ვიყავით! ნამდილო ბაწარზე ჩამოსაკიდებელია ვინცხას აგი ახალთაობა არ უნდოდა! ბიჭო, ასტე ზდილობიანთ, ასტე ბძანებით ვინ მოგისხენიებდა ძველათ! იმე, ჩვენი პრისტავისაგან სულ ღერ-ღერ მქონდა ვადაგლეჯილი წვერულევაში და შენ კი ზდილობიანთ მეუბნები: „რას გვიბძანებ“ უი, შენ დაგენაცვლოს შენი ანთიმოსა.

კომისარა — კარგია, ბაბუა, ახალთაობა?

ანთიმოს — იმე, რას ბძანებ, ბატონო, რას ის ურწმუნო ჩვენი პრისტავი რომ დამაგლეჯდა ამ წვერებს გუნჯალ — გუნჯალ, ჩიხილას სულ არ ყოდულობდა საადლობით, შენ ნუ მოუკვდები ჩვენ თავს, (ხელებს აღაპრობს) ღმერთო, შენ ააშენე აგი ახალი მთავრობაი და გააძლიერე მამაზეცერო!

კომისარა — სხვა, რაზე ვარჯილხართ, ბაბუა, გვიბძანებ?

ანთიმოს — მე, შენი ქირი შემეყაროს, ერთი სათხოვარი საქმე მაქვს შენთან და იმედია მაქვს, რომე არ გამაწმილებ ამ მოხუცებულ კაცს და სობერეს არ გამიმწარებ. (ქლიშვილზე უთითებს, რომელიც თავჩაღუნული, მორცხვად უდგია გვერდზე და მარჯვნივ) ამ ერთი ბოგშის მეტი არაფერი



გამანია, შენი კირი შემეყაროს და ნუ მიზამთ ისტე, რომე ავიც ხელიდან გამომეცალოს. სამ პირი ცოლშვილიდან ავი ერთი ბოვში ძლივს გამოვზარდე, შენი კირი შემეყაროს, მარა რადი, არც ეს შეიქნა ბედნიერი ეს საცოლარი! ერთი ბიკი ჩვესიძე, შენი კირი შემეყაროს, მარა ივიც ვაენში წყეყენეს და დავრჩი მარტოკა ავი აძალღებული ბებერი სახლში და არ ვიცი სით უნდა ვადავარდე, რავა უნდა გოუძლო ამ უბედურ დროებასს სულ სამი-ოთხი თვე არ უტხობვრია ამ საცოლდვარ გოგოს ქმართან, ისტე უტეგ მთავლიჯენ გულლიდან ავი ბოვში დამიქლდედა და დამ-ჯავრიანდა, შენი კირი შემეყაროს, თვარა ჩემი თავი კირსაც წოულია. ამ უბედურს მთელი დამე არ სძინავს, სულ ამოდებს, სულ სიზმრებშია, სულ მის ხსენებაშია, შენ არ მოუკვდე ჩემ თავს.

კომისარი — მერე, რა გნებავთ ჩემგან, რისთვის გაისარჯეთ?

ანთამოსა — შენთან იმაზე გიახელი, შენი კირი შემეყაროს, რომე რავარც ახალთაობმს ადამიანი, შედი ამ ბოვშის საცოლდაობაში და გამეითხოვე ის ბიკი ვანდიდან, თვარა გოგო მომიკვდება მე უბედურს და თელათ დევილუბები კაცი! ბოვშია, შენი კირი შემეყაროს და ქმარი მოენატრა, ბატონო, ქმარი.

კომისარი — (ღიმილით) საუბედუროთ ეგ საქმე ჩენს განკარგულებაში არ შედის, ჩემო ბაბუა და ამიტომ მაგ თხოვნას ვერ შეგისრულებ.

ანთამოსა — იმე, რეიზა, ბატონო, რეიზა! ერთი თვის ოპუსკი მიანიჭე, შენი კირი შემეყაროს და მერე არ უნდა. (სალომეს) გეყოფა გოგო ერთე?

სალომე — (უბრალო ჩითის კაბა-„რუბაშკა“ აცვია, ფეხზე წულები, თავზე კრული ჩითის თავსაფარი ახვევია. ხელში უბრალო ქოლკა უჭირავს. გარეთ გამოაუსვლელი და სრულიად მორცხვი აღაშინია. სალომეს მამის სიტყვების შერცხვება.)
 უიე, ღმერთო მოკალი! რას ამოვ ბეჩა!

ანთამოსა — ხმა ამეიღე ხო, რას ბურტყულებ! სახლში არ მისვენებდი: „ქმარი მინდაო,“ და აქანენა ჩავივარდა?! სთხოვე ავერ პატიოსან ადამიანს და შეგისრულებს თხოვნას.

სალომე — (მორცხვად) ერთი თვე მერე არა?

ანთამოსა — ხო, ერთი თვე, ამა თელათ კი არ-

ევი წაშოგიჯენს გვერდში. (კომისარს) ბოვშია, შენი კირი შემეყაროს და მოუკვდე ჩემ თავს, ამა რა ჯანაბა იქნება! მე რომ ჩემი ცხონებული ავრდინა დავმარბე, სული წამივიდა, ბატონო, სული და ძილი სულ არ მომკარბია. შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს, (სიცილით) ერთხელ, შენი კირი შემეყაროს, შეუადამისს პერანგის ამა რა გევიქეცი დანიშნულთან, შენ ნუ მოუკვდები ანთიმოსას!

კომისარი — (ისცილით) შევედივარ თქვენ მღვამარეობაში, მაგრამ რა ვქნა, მე მისი დაბრუნება არ შემიძლიან.

ანთამოსა — იმე, რეიზა, ბატონო, რეიზა! რავა, ხემწიფე ვადმოაკობრიალეთ ტახტიდან, შენი კირი შემეყაროს და დევიჯერო ახლა ასეთი პატარა საქმე ვავიქირდებათ!

კომისარი — მე არაუფრი არ შემიძლიან, ბატონო ანთიმოს, ეგ საქმე საშხედრო უწყებას ეკუთვნის. კომისარი არჩევს უბრალო, შინაურ საქმეებს. აი მაგალითად: თუ ვინმემ რამე წაგართვათ...

ანთამოსა — (აწყვეტიანებს) იმე, წამართვეს, ბატონო, ამა ჩემით გოუშობდი ახლა იმას ვანეში! ანდრებს დავიტიებ, შენი კირი შემეყაროს და ვამეიწყეე ი ბიკი... (გოგოს) იმ ბიკის ანდრეზი რა უქნენი ბოვო?

კომისარი — მე არაუფრი აღრევი არ მინდა, რადგან ვერაფერს დავგებმარებთი.

ანთამოსა — (შეწუხებული) იმე, გოგო ვადამერევა, შენი კირი შემეყაროს, თვარა სხვას კი არ ვჩივი.

კომისარი — ბატონო, გაიგეთ, რომ ჩემი საქმე არ არის! (სალომე იცრუებება)

ანთამოსა — იმე, შე დალოცვილო, ლარების საქმეს არჩევთ და ავი ადამიანია რაც უნდა იყოს (სალომეზე აჩვენებს)

ანთამოსა — იმე, ბოვში ვადამერევა, ბოვში, შენი კირი შემეყაროს.

კომისარი. (მოთმინებიდან გამოსული) არ-არის ჩემი საქმე! (სალომე ტირის)

(დასასრულა იქნება) გოგია.



გ ა შ მ ა კ ა

(ადანისთვის)

კაცი.

პოეტის ვარ, დრამატურგის,
 ვარ არტისტი რეჟისორი,
 მხატვარი და პედაგოგი
 ვერსად ნახოთ ჩემი სწორი.


ცურვაც ვიცი, ფრენაც ვიცი,
 ვიცი კობტა სიარული,
 სიმათლეს რომ ვლაპარაკობ
 კი არ დასწყედს ვისმეს გული.

ინდაური კრიტიკოსი.

ხდება „რუჩკა“, ხდება „ბერო“,
 ფარდა, სენა, „კრასკა“, ფული:
 ვის უნდავს კარვით ბატის
 ფრენა, ცურვა, სიარული.

ისკანდერ

სარეგულიუციო მუზეუმი



ეშმაკი. აქ კომისარათშვილოდინზე უფრო მდიდარი და საყურადღებო გამოვიდა.